საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

მართლმსაჯულება 1984 წლის კოდექსით

კვარჯალური მიმოხილვა
(ივლისი - სექტემბერი, 2022)

მართლმსაჯულება 1984 წლის კოდექსით

კვარტალური მიმოხილვა

(ივლისი - სექტემბერი, 2022)

თბილისი

2022

კვარტალური მიმოხილვა მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

გამოცემის ხელმძღვანელი: ნონა ქურდოვანიძე

რედაქტირება და დიზაინი: ხათუნა ყვირალაშვილი

ყდის დიზაინი: თეონა კერესელიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია / 2022

შესავალი

საქართველოში დღემდე მოქმედებს 1984 წელს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი პრობლემების წყაროა. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის სამოქმედო გეგმა ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად ამ კოდექსის რეფორმაზე მუშაობას ითვალისწინებს. გეგმის თანახმად, 2022 წელს მზად უნდა იყოს კანონპროექტის სამუშაო ვერსია, რომლითაც „სისტემურად მოწესრიგდება კანონის არსებული დებულებები და შემუშავდება შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი მკაფიო ნორმები. ამასთანავე, ყოველივე ეს განხორციელდება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით“.[1]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) წარმოგიდგენთ 2022 წლის 1-ლი ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით პერიოდის კვარტალურ მიმოხილვას, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მომხდარ ძირითად მოვლენებს აერთიანებს.

[1] საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა, 2022 წელი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3clqKnG, გადამოწმებულია: 31.07.2022.

სტატისტიკური ინფორმაცია

შსს-ს ინფორმაციაზე[2] დაყრდნობით, 2022 წლის ივლისი-სექტემბრის პერიოდში გამოვლინდა:

წვრილმანი ხულიგნობა (166-ე მუხლი)	**910**
პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა (173-ე მუხლი)	**1039**

2022 წლის ივლისი-სექტემბრის პერიოდში ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა 465 პირს, მათ შორის, ყველაზე ხშირად გამოყენებული იყო 5-დღიანი (შეეფარდა 218 პირს) და 10-დღიანი პატიმრობები (შეეფარდა 136 პირს).[3]

[2] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/page?id=659&parent_id=633, ნანახია: 03.11.2022.
[3] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/page?id=632&parent_id=233, ნანახია: 03.11.2022.

სასამართლო პროცესების მონიტორინგი

2022 წლის სექტემბერში საიამ „ნეტგაზეთთან“ თანამშრომლობით განახორციელა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების მონიტორინგი. ის გულისხმობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ორდინალურ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე ჟურნალისტის დასწრებას და მის მიერ დაკვირვების შედეგების საზოგადოებისთვის გაცნობას.

მონიტორინგის ფარგლებში, „ნეტგაზეთის“ ჟურნალისტი სამი სხვადასხვა მოსამართლის მიერ განხილულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 20 სხდომას დაესწრო. მონიტორინგის პროცესმა აჩვენა, რომ ორდინალურ შემთხვევებში, როგორც წესი, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირებს არ ჰყავთ ადვოკატები; ამ ტიპის საქმეები ხასიათდება მტკიცებულებების სიმწირით და მხოლოდ პოლიციელის მიერ შედგენილი რამდენიმე დოკუმენტისგან შედგება (პოლიციას, ძირითადად, პროაქტიულად არ მიაქვს ვიდეოჩანაწერები); საქმის განხილვა მოკლე დროში, 10-12 წუთში სრულდება. ასევე, როგორც წესი, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პირის აღიარებას და, შესაძლოა, ასეთ დროს დამატებითი მტკიცებულებები აღარც შეისწავლოს, მათ შორის, არ მოსთხოვოს პოლიციას ვიდეოჩანაწერის წარდგენა.

საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ რამდენიმე მაგალითს მონიტორინგის შედეგებიდან.

1

„ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, გ.წ. მანქანის მართვის დროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გააჩერეს გადამოწმების მიზნით. მას ჩაუტარეს ალკოტესტი და ჯარიმა გამოუწერეს.

„ჯარიმის გამოწერისას ის იგინებოდა ხმამაღლა, უმისამართოდ, რაზეც პოლიციელებმა მოუწოდეს, შეეწყვიტა. საჯარიმო ქვითრის გამოწერის შემდეგ უკვე პოლიციელებს მიაყენა შეურაცხყოფა", – განაცხადა სოსო დანელიამ.

მოსამართლე თამარ მჭედლიშვილმა ეს საქმე უმოკლეს დროში, 8 წუთში დაასრულა.

„ჩავთვალოთ ყველა მტკიცებულება გამოკვლეულად?" – ჰკითხა მან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს და პოლიციელს, რაზეც თანხმობა მიიღო.

პოლიციელმა პოზიციის დაფიქსირებისას განაცხადა, რომ პირი აღიარებდა და ინანიებდა ჩადენილ ქმედებას და მოსამართლეს მინიმალური ზომის გამოყენება სთხოვა.

მოსამართლემ გაიზიარა მისი თხოვნა, გ.წ. სამართალდამრღვევად ცნო და ჯარიმის სახით 2000 ლარის გადახდა დააკისრა".[4]

[4] „ნეტგაზეთის" სტატია „როგორ იყენებს სასამართლო და პოლიცია საბჭოთა კავშირის დროს მიღებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს", ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hQhBfn, ნანახია: 19.11.2022.

2

„საქმის მასალების მიხედვით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი გ.გ. ქუჩაში არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, ყვიროდა და იგინებოდა. იყო აგრესიული პოლიციის მიმართ, ხელს უშლიდა პროფესიული მოვალეობის შესრულებაში და მიაყენა მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამის საფუძველზე, მის წინააღმდეგ სამართალდარღვევის ოქმი 166-ე მუხლის პირველი და 173-ე მუხლის მეორე ნაწილით შედგა, რადგან პოლიციის დაუმორჩილებლობისთვის მანამდეც იყო გასამართლებული.

მოსამართლე: გასაგებია თქვენი უფლებები? ადვოკატის აყვანის უფლება რომ გაქვთ, არის, ხომ, ცნობილი თქვენთვის?

გ.გ. – დიახ.

მოსამართლე: რომელიმე უფლებით ხომ არ ისარგებლებთ?

გ.გ. – რავი, არა.

საქმის გარემოებების აღწერისას ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა განაცხადა:

„ბრალდებულს ფიზიკური დაზიანება აღენიშნებოდა. სასწრაფოს გადაჰყავდა საავადმყოფოში, წაყოლა არ სურდა და იგინებოდა. როდესაც პოლიციელები მივიდნენ ადგილზე, პოლიციელებიც მიაყოლა".

ეს სხდომა 10 წუთი გაგრძელდა. პირის აღიარების საფუძველზე, 166-ე მუხლის მტკიცებულებები მოსამართლემ გამოკვლეულად მიიჩნია, თუმცა პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ნაწილში გადაწყვეტილება ვერ გამოიტანა, რადგან საქმის მასალები სათანადო წესით არ იყო წარმოდგენილი.

კერძოდ, პოლიციელმა არ იცოდა, მანამდე პასუხისგებაში მიცემული პირი როდის იყო სახდელდადებული 173-ე მუხლის საფუძველზე, იყო თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შესული, ან გადახდილი იყო თუ არა ჯარიმა.

შესაბამისად, სხდომა გადაიდო“.[5]

საქმეების მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სასამართლოში რამდენიმე საინტერესო საქმე განიხილეს:

დაკავება და დაჯარიმება ფეისბუქპოსტის შინაარსის გამო

2022 წლის 30 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ხვიჩა შაქარიშვილის საქმეზე - ის სამართალდამრღვევად ცნო და 2500 ლარით დააჯარიმა.

ამ საქმეში საყურადღებოა რამდენიმე გარემოება:

- ხვიჩა შაქარიშვილის მიმართ სამართალდარღვევის ოქმის შედგენის საფუძველი გახდა ფეისბუქზე 6 ივლისს გამოქვეყნებული პოსტის შინაარსი, რომლითაც ის პოლიციელთა ქმედებას აკრიტიკებდა.[6] სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, მისი ანა-

[5] იქვე.

[6] ,,ბათუმელების“ 2022 წლის 17 ივლისის სტატია ,,ბათუმში ფეისბუქზე პოსტის გამო მოქალაქე დააკავეს – „ასეთი რამ ჩრდილოეთ კორეაში თუ ხდება“, ხელმისაწვდომია: https://batumelebi.netgazeti.ge/news/423519/, ნანახია: 03.11.2022.

ლიზი მომდევნო კვარტალურ მიმოხილვაში იქნება წარმოდგენილი.

- საგულისხმოა, რომ პოლიციამ ხვიჩა შაქარიშვილი სადავო ფეისბუქპოსტის გამოქვეყნებიდან 8 დღის შემდეგ დააკავა და სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა. მისი დაკავების ვადა 48 საათი გაგრძელდა. ოქმში მითითებულია, რომ იგი „სამართალდარღვევის აღსაკვეთად“ დააკავეს. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული დაკავება არის დროებითი ზომა, რომლის გამოყენება შესაძლებელია კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, მათ შორის, ერთ-ერთია „სამართალდარღვევის აღკვეთა“. ამ ზომის გამოყენება შეიძლება გამართლებული იყოს სამართალდარღვევის ჩადენისას, მყისიერად, როდესაც აუცილებელია დაკავებული პირის დროებითი იზოლირება მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებისთვის. მოცემულ შემთხვევაში ამგვარი საჭიროება არ არსებობდა. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ხვიჩა შაქარიშვილი დააკავეს უკანონოდ, სადავო ფაქტიდან 8 დღის შემდეგ. ეს შემთხვევა ნათლად მიუთითებს, რომ პოლიციამ დაკავების მექანიზმი გამოიყენა არა სამართალდარღვევის აღსაკვეთად, არამედ პირის დასასჯელად.

  ხვიჩა შაქარაშვილის უფლებებს საია იცავს და მიღებული გადაწყვეტილება, ჩაბარების შემდეგ, გასაჩივრდება სააპელაციო სასამართლოში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“

2022 წლის 1-ელ სექტემბერს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ გადაწყვეტილება გამოაცხადა. მოცემული საქმე ეხება 2019

წლის 18 ნოემბრის დემონსტრაციების დროს[7] სამი პირის (გიორგი მაქარაშვილი, ირაკლი კაჭარავა, ზურაბ ბერძენიშვილი) ადმინისტრაციული წესით დაკავებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის (ასკ) 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლების საფუძველზე და მათთვის 4-12-დღიანი პატიმრობის შეფარდებას.

განმცხადებლები დავობდნენ, რომ მათი საქმეების განხილვისას ეროვნულმა სასამართლოებმა (1) მომეტებული მნიშვნელობა მიანიჭეს პოლიციელების ჩვენებებს; (2) უსამართლოდ გადაანაწილეს მტკიცების ტვირთი მომჩივნებზე; (3) პროცესში პროკურორის, როგორც ბრალდების მხარის, არარსებობის პირობებში, საქმის განმხილველმა მოსამართლემ შეითავსა ეს (საპროკურორო) ფუნქცია, რითაც სამართალშეფარდების პროცესი გახდა მიკერძოებული; (4) გარდა ამისა, მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ მათ არ მიეცათ საკმარისი დრო დაცვის პოზიციის მოსამზადებლად; (5) ასევე არ ჰქონდათ თანაბარი შესაძლებლობა, პროცესზე მოეწვიათ მოწმეები, როგორც ეს მოახერხა ბრალდების მხარემ; (6) დაბოლოს, მომჩივნები დავობდნენ, რომ დაპატიმრებით და პასუხისგებაში მიცემით დაირღვა მათი მშვიდობიანი შეკრების უფლება. სასამართლომ დაუშვებლად ცნო განმცხადებელთა საჩივრები ზემოთ მითითებულ მე-4 და მე-5 პუნქტებში მოცემულ ასპექტებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ისინი არ წარმოშობდა კონვენციასა ან მის ოქმებში გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის საფუძველს. დანარჩენ ნაწილში კი სასამართლომ საჩივარი დასაშვებად მიიჩნია.

სასამართლომ მეორე მომჩივან ირაკლი კაჭარავასთან მიმართებით დაადგინა კონვენციის მე-6 (სამართლიანი სასამართლოს უფლება) და მე-11 მუხლების (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) დარღვევა და განსაზღვრა მისთვის 1,600 ევროს ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება. პირველი და მესამე მომჩივნების მიმართ კი დარღვევა არ დადგინდა. სწორედ ამის გამო, გადაწყვეტილებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მათ შორის, „ქართული ოცნების“

[7] დემონსტრაციის მიზანი იყო პროტესტი პარლამენტის მიერ საარჩევნო რეფორმის განუხორციელებლობის გამო, რა დროსაც დემონსტრანტებმა პარლამენტის ყველა შესასვლელი ბლოკადაში მოაქციეს.

მიერ დასპონსორებული ფეისბუქგვერდით გავრცელდა მცდარი ინფორმაცია, რომ ამ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული დაკავების, დაკავებული პირის საპროცესო უფლებების, სახდელის სახით პატიმრობის შეფარდების მომწესრიგებელი კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოყენება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) შესაბამისად ცნო.“[8] ამგვარი მცდარი ინფორმაციის გავრცელება იწვევს არასწორ აღქმებს და, შესაძლოა, ხელი შეუშალოს სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმის პროცესს.

ამის საპირისპიროდ, გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია, რომ მისი დანიშნულება არ არის, ზოგადად, კონვენციასთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობის განხილვა, არამედ სასამართლომ თავი უნდა შეიზღუდოს მომჩივნების მიერ კონკრეტულად წაყენებული პრობლემური საკითხების განხილვით და, იმავდროულად, მხედველობიდან არ გამორჩეს ზოგადი კონტექსტი.

სასამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პროცესში პროკურორის არარსებობა, თავისთავად, არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლის მიუკერძოებლობის მოთხოვნას. ამასთანავე, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მჭიდრო კავშირია, ერთი მხრივ, ამ ფაქტსა და, მეორე მხრივ, ეროვნული სასამართლოების მიერ მტკიცების ტვირთის განაწილების მიდგომას შორის, რაც ასევე მოიცავს პოლიციელთა მიერ (მაშინ, როდესაც ისინი საპროკურორო უფლებამოსილებას ასრულებენ) ამ მტკიცებულებებზე გარკვეული პრეზუმფციების მიღებას.

პირველი და მესამე მომჩივნის მიმართ სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა არა იმის გამო, რომ არსებული კანონმდებლობა სამართლიანი სასამართლოს უფლების სტანდარტებთან შესაბამისად მიიჩნია, არამედ იმიტომ, რომ, მეორე განმცხადებლისგან განსხვავებით, მათ არ გამოუყენებიათ პოლიციის მიერ წარდგენილ ფაქტებზე

[8] ფეისბუქგვერდის - „სინამდვილეში“ - 2022 წლის 11 ოქტომბრის პოსტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tJAbIM, ნანახია: 19.11.2022.

საკუთარი პოზიციის დაფიქსირების უფლება. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველ და მესამე მომჩივანთან მიმართებით, პოლიციელთა ჩვენებების გარდა, არსებობდა სხვა მტკიცებულებებიც (ვიდეოები). ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ სრულად არ მიეწოდა ეროვნულ დონეზე წარმოებული საქმის მასალების ასლები, მას არ შეუფასებია სასამართლოს მიდგომა მტკიცებულებებთან დაკავშირებით.

ამის საპირისპიროდ, მეორე მომჩივანთან მიმართებით პოლიციელის განცხადება სხვა სახის მტკიცებულებით არ იყო გამყარებული. შედეგად, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს შეექმნა მდგომარეობა, როდესაც თვითონვე მოუწია საკუთარი უდანაშაულობის მტკიცება. გარდა ამისა, ის დააკავეს პარლამენტის შესასვლელის გახსნიდან (თუნდაც - ნაწილობრივ) ორი საათის მერე, ხოლო ეროვნულმა სასამართლომ არც კი განიხილა საავტომობილო გზაზე მისი ყოფნის განზრახვა (შემთხვევით ხომ არ მოხვდა ან დემონსტრანტთა რაოდენობის გამო ხომ არ გადავიდა სავალი გზიდან საავტომობილოზე). სწორედ ამ დარღვევების საფუძველზე, სასამართლომ მეორე მომჩივანთან მიმართებით დაადგინა როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების, ასევე შეკრების თავისუფლების დარღვევა.[9]

[9] საქმის ვრცელი მიმოხილვა იხ. საიას ვებგვერდზე. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EkWBFa, ნანახია: 19.11.2022.